1-07/1133

იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 16.07.2011წ.

შპს "საგზაო ტექნიკა" (შემდგომში "მოიჯარე") მისი დირექტორის გიორგი როგავას სახით, ერთის მხრივ და **შპს „ვესტ თრეველი"** (შემდგომში "მეიჯარე"), მეორეს მხივ, მისი ფინანსური მენეჯერის გიორგი ჭანტურიას სახით შევთანხმდით და დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, „მეიჯარე" იღებს ვალდებულებას გადასცეს „მოიჯარეს" ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებული ქონება დროებით სარგებლობაში, ხოლო „მოიჯარე" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „მეიჯარეს" შეთანხმებული საიჯარო ქირა და იჯარის ვადის გასვლის შემდეგ დაუბრუნოს „მეიჯარეს" იჯარით აღებული ქონება.

1.2. "მეიჯარე" გადასცემს "მოიჯარეს" დროებით სარგებლობაში ცისტერნას, მოდელი ზილ 130, 1984 წლის გამოშვება, სახ. ნომერი ZIZ 826 (შემდგომში „მექანიზმი").

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. **"მეიჯარე" ვალდებულია:**

- დროულად გადასცეს "მოიჯარეს" წინამდებარე ხელშეკრულების I მუხლში მითითებული „მექანიზმი";

2.2. **"მოიჯარე" ვალდებულია:**

- დროულად გადაიხადოს საიჯარო თანხა;
- ხელშეკრულების ვადის დასრულების შემდეგ დაუბრუნოს „მექანიზმი" "მეიჯარეს" გამართულ მდგომარეობაში ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით;

3. „მექანიზმისა" და გაწული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. "მეიჯარე" გადასცემს "მოიჯარეს" „მექანიზმს" წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს, რაზეც ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ვადის გასვლისთანავე „მოიჯარე" მიღება-ჩაბარების აქტით დაუბრუნებს „მეიჯარეს" „მექანიზმს".

3.3. მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ვადის გასვლისთანავე შეადგენენ გაწული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს.

4. საიჯარო ქირის ოდენობა და ანგარიშსწორების წესი

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა შედგენს 1 980 (ერთი ათას ცხრაასოთხმოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;

4.2. ანგარიშსწორება მეიჯარესთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში;

4.3. ანგარიშსწორება განხორციელედება საიჯარო ვადის გასვლიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან;

5.2. საიჯარო ვადა შეადგენს 2011 წლის 16 ივლისიდან 2011 წლის 24 ივლისის ჩათვლით პერიოდს;

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადო შესრულებისათვის მხარეები აგებენ პასუხს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოებანი, რაც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შპს „საგზაო ტექნიკის" შესყიდვების მენეჯერი თეიმურაზ ელკანიშვილი.

7. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

7.1. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

7.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად, რომლებსაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

8. დავათა გადაჭრის წესი

8.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად. ერთი ინახება "მოიჯარესთან", მეორე "მეიჯარესთან"

მხარეთა რეკვიზიტები

"მოიჯარე"

შპს "საგზაო ტექნიკა"

მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №71
ს/კ: 205140257
ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი" –
კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE14BG0000000282521400

„მეიჯარე"

შპს "ვესტ თრეველი"

მისამართი: ქ. თბილისი, ი. პეტრიწის №8
ს/კ: 205143824
ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი"
კოდი: BAGAGE22
ა/ა: 212860000

გიორგი როგავა_____

გიორგი ჭანტურია _____

მიღება-ჩაბარების აქტი

16.07.2011წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ შპს „საგზაო ტექნიკა" მისი დირექტორის გიორგი როგავას სახით და შპს „ვესტ თრეველი", მეორეს მხრივ, მისი ფინანსური მენეჯერის გიორგი ჭანტურიას სახით, ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2011 წლის 16 ივლისს შპს „საგზაო ტექნიკასა" და შპს „ვესტ თრეველს" შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების თანახმად, შპს „ვესტ თრეველმა" იჯარით სარგებლობისათვის გადასცა შპს „საგზაო ტექნიკას" ცისტერნა, მოდელი ზილ 130, 1984 წლის გამოშვება, სახ. ნომერი ZIZ 826, ხოლო შპს „საგზაო ტექნიკამ" მიიღო ზემოაღნიშნული მექანიზმი, რასაც მხარეები ადასტურებენ ხელმოწერით.

"მოიჯარე"

შპს "საგზაო ტექნიკა"

მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №71
ს/კ: 205140257
ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი" –
კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE14BG0000000282521400

„მეიჯარე"

შპს "ვესტ თრეველი"

მისამართი: ქ. თბილისი, ი. პეტრიწის №8
ს/კ: 205143824
ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი"
კოდი: BAGAGE22
ა/ა: 212860000

გიორგი როგავა_____ გიორგი ჭანტურია _____

მიღება-ჩაბარების აქტი

25.07.2011წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ შპს „საგზაო ტექნიკა" მისი დირექტორის გიორგი როგავას სახით და შპს „ვესტ თრეველი", მეორეს მხრივ, მისი ფინანსური მენეჯერის გიორგი ჭანტურიას სახით, ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2011 წლის 16 ივლისს შპს „საგზაო ტექნიკასა" და შპს „ვესტ თრეველს" შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების თანახმად, შპს „საგზაო ტექნიკა"-მ გადასცა (უკან დაუბრუნა) შპს „ვესტ თრეველს" იჯარით აღებული ცისტერნა, მოდელი ზილ 130, 1984 წლის გამოშვება, სახ. ნომერი ZIZ 826, ხოლო შპს „ვესტ თრეველმა" ჩაიბარა ზემოაღნიშნული მექანიზმი, რასაც მხარეები ადასტურებენ ხელმოწერით.

"მოიჯარე"

შპს "საგზაო ტექნიკა"

მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №71
ს/კ: 205140257
ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი" –
კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE14BG0000000282521400

205140257
RT
შპს საგზაო ტექნიკა
ROAD TECHNIQUE LTD

გიორგი როგავა _____

„მეიჯარე"

შპს "ვესტ თრეველი"

მისამართი: ქ. თბილისი, ი. პეტრიწის №8
ს/კ: 205143824
ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი"
კოდი: BAGAGE22
ა/ა: 212860000

გიორგი ჭანტურია _____

საქართველო. შ.პ.ს. "ვესტ თრეველ"
205143824
* GEORGIA. "WEST TRAVEL" LTD. *